1915

№15 = 14 = 2000

შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

№ 15.

ფასი ერი შაური

წლიური ფასი 5 მან.
წლის დამლევამდე
70 ,,
წელიწადი მეშვიდე.

კვირა, 11 ოქტომბერი, 1915 წ.

როგორც აჰარაში ისე მთელ საქართველოში დიდათ საჭირო არიან მისსიონერები *).

II.

ნათქვამით მე საზოგადო და დაზეპირებულ აზრებს არ ვიმეორებ; ჩემ სიტყვებში წიგნებიდან ამოკითხული და ამოკრეფილი არა არის რა და არავის გაკვეთილს არ უკითხავ მისსიონერობის მნიშვნელობის შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ მას, რაც ჩემი საკუთარი თვალებით ვხედავ ჩემი ეპარქიის ქართველ მაჰმადიანთა შორის მოღვაწე ქართველი მისსიონერების მოქმედებებში.

ოცდა ოთხი წელიწადია, რაც ერთი ამგვარი მისსიონერი მდედელი მოღვაწეობს ქობულეთში. ფართო საზოგადოება და ჩვენი გაზეთები არ იცნობენ ამ მყუდრო და კდემა მოსილ მუშაკს; იგი თბილისიდან და ქუთაისიდან მოსული საზოგადო მოღვაწეებს არ ეგებება ხოლმე პრტყელ-პრტყელი ფრაზებით ქართველი ერის მთლიანობისა, ქართული ტერიტორიის აღდგენისა, მშობლიურ ერის ეკონომიური კეთილდღეობისა და მისთანეების შესახებ, მიგრამ დღემუდამ თავ აუღებელად ეწევა ქობულეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა განათლებისა და განვითარების მძიმე უღელს. ამ ეჩინარი კაცის სახელი დიდი პატივისცემით იხსენიება ქობულეთელ ქართველ მაჰმადიანთა შორის, ნის ოჯახში მისველა ადგილობრივ მაჰმადიანებს გულითადი მოკეთის ოჯახში ყოფნად მიაჩნიათ, მასთან, ვით მშობელ მამასთან, რიდეახდილად ლაპარაკობენ მაჰმადიანთა ქართველი ქალები, იგი არა იშვიათადაა ხოლმე მიწვეული ჯამეში რჩევა-დარიგების დასაკითხად, იშვიათად [illegible] ქართველმა მაჰმადიანმა ან ვაჟიმც�d [illegible] ან ქალიშვილი გადთხოვოს და ამ პატივცემულ მოძღვარს არ დაალოცვინოს მათი თავი; ამ ღვდლის გვლენა იყო, რომ 1912 წელს ქობულეთელმა ქართველმა მაჰმადიანებმა თითონ მთხოვეს ქობულეთში ქართული სამკითხველოს გახსნა, რომელშიაც ასე გულსმოდგინეთ დაიარებიან იგინი და ყოველ-დღე გატაცებით უსმენენ ხან ამ ღვდელს და ხან მის ღირსეულ მედავითნეს ქართული გაზეთების კითხვას; ამ ღვდლისა და მედავითნის კეთილი გავლენის გამო მოითხოვეს ქობულეთის ნაწილის ქართველმა მაჰმადიანებმა სასოფლო სასწავლებლებში დედა ენის სწავლების შემოღება, ამ ღვდლის ხელის შეწყობითაა, რომ დღეს ორ ქართულ გიმნაზიაში იზრდება ოთხი მაჰმადიანი ბავშვი ქობულეთიდან და სხვ. ქებითა და პატივისცემით მოსახსენებელია აგრეთვე ფირცხალავანი და აბაშიძის მოქმედება სოფელ ხულოში. ხსენებულმა მისსიონერებმა, შემდეგ პატივცემული საზოგადო მოღვაწე ზაქარია პიპინაძისა, პირველათ გაავლეს აჭარის კამირზე ქართველობის კვალი და გაავლეს წყლმა, მადლიანათ, ღვთისა და კაცთა საამოდ. ამ მისსიონერებს, მსგავსად ქობულეთელი მოძღვრისა, არაერთ მოუნათლავთ აჭარაში, მაგ-

*) იხ. „შინ. საქ." № 14.

რამ მათ დაუღუმებელ ქადაგებას ქრისტეს პიროვნების, ქართული მწიგნობრიობის და ქრისტიან ქართველებთან მჭიდრო კავშირის დაჭერის თაობაზე უშედეგოდ არ ჩაუვლია; ამ კეთილ ქადაგებას ფესვები გაუდგამს აჭარლების გულში და დღეს საამო ჯეჯილად ერის გადამწვანებული. ხსენებული მისსიონერების გავლენის შედეგია, რომ მდგომარე წლის ენკენისთვის სამს მე მქონდა ბედნიერება მიმღო ჩემს ბინაზე ქ. ფოთში ხულოდამ ჩამოსული ქართველი მოლლა, რომელმაც დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მოშმართა: „ხულოელ ქართველ მაჰმადიანებს გაგებული გვაქვს, რომ თქვენ სწყალობთ ქობულეთელ მაჰმადიანებს, ქობულეთში ავრცელებთ ქართულ მწიგნობრიობას, ხელს უწყობთ სასწავლებლის გახსნას და ეხმარებით იქაურ ჩვენს ძმებს მათი შვილების სწავლა-აღზრდაში. ჩვენც ქობულეთელების ძმები და შეგობრები ვართ, ჩვენც მათი სარწმუნოების მიმდევრნი და მათი ენით მოუსაბრნი ვართ, ამიტომ ეგონა, რომ აჭარაშიაც მოგბძანდებოდით, აჭარლებსაც გაეცანოთ თქვენს ძმურ სიტყვას, ჩვენც გვეგონა ძლოლებდით ჩვენი შვილების სწავლა-განათლების საქმეში; დავიდალენით ამდენს ხანს თქვენი გზისაკენ მზერით და აი ახლა პირადად ჩამოვედი თქვენთან სათხოვნელათ, რომ ხულოში მოგბძანდეთ და ქობულეთელებივით დაგვიახლოვოთო“...

როგორც ხედავთ, გურია-სამეგრელოს ეპარქიის ქართველ მაჰმადიანებს არც ისე სძულებიათ მისსიონერები, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებენ ქართული საერო გაზეთები. მოყვანილი ფაქტები ჩვენ ისე არ გვესმის, რომ მისსიონერებსა და ქართველ მაჰმადიანთა შორის მტრული განწყობილება სუფევდეს, რომ მისსიონერობა აფრთხობდეს ქართველ მაჰმადიანებს, მისსიონერობა ძირს უთხრიდეს ქართველი ერის მთლიანობას და, თუ ეს ნამდვილათ ასე არ არის, თუ აჭარა-ქობულეთში მისსიონერები მართლა არა სასურველ სამსახურს უწევენ ქართველ ერს, ვთხოვ ქართულ საერო გაზეთებს გამოაქვეყნონ ამისი უტყუარი საბუთები. მაშინ ბოდიშს მოვიხდით მათ წინაშე და დაუყონებლივ მოვსპობთ ხსენებულ რაიონში მისსიონერულ მოქმედებას.

დღეს საწყენად და სათაკილოდ მრჩება ის გარემოება, რომ თავიანთი წინდაუხედავი გამოსვლით ქართული გაზეთები შეურაცხებას აყენებენ ქართველ მაჰმადიანებს. ჩვენებურ გაზეთებს აჭარლები წარმოუდგენიათ უსუსურ, უმწეო, უძლურ, ბეჩავ, უენო და უგონო ბალანად, რომელიც თავისით ცხვირსაც ვერ მოიხოცავს, მგელმა რო მოიტაცოს, ხელის გაქნევასაც ვერ მოიფიქრებს. დასავლეთ საქართველოს ქართველ მაჰმადიანთა შორის, არა ერთი და ორი განვითარებული და ქართული წერა-კითხვის საკმაოდ მცოდნე პირი მოიპოება.

ასეთები თუგინდაც რომ სრულებით სახეში არ მივიღოთ, შეუძლებელია ამ შენთხვევაში გვერდი აუქციოთ და ანგარიში არ გაუწიოთ ისეთი ფხიზელი ბუნებისა და მოძმეთა მდგომარეობით დაინტერესებულ პიროვნებას, როგორიც არის ბათუმში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ ბეგი აბაშიძე. მისსიონერების მოქმედება, რომ ისეთი დასაგმობი, მავნე და აუტანელი ყოფილიყო აჭარლებისთვის, როგორც ამას ქართული გაზეთები ხატავენ, ყველაზე უწინ იმას გაიგებდა და იგრძნობდა ქართველი მაჰმადიანების სულიერი ინტერესების სასიქადულო დარაჯი ბ. ჰაიდარ ბეგი, რომელიც მე სრულებით არ წარმომიდგენია იმდენად გაუბედავ მოქალაქედ, რომ ვისიმეს შიშისა და მორიდების გამოისობით არ აბმაურებულიყო ამაზე ადგილობრივ პრესაში.

ჩვენ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა და აქ დაგვეთავებინა წერილი, რადგანაც სადაო საკითხი, ჩვენი შეხედულობით, საკმაოდ გაშუქდა და გაირკვა, რადგანაც ქართული საერო გაზეთებისაგან გამოთქმულ ყალბ აზრს აჭარაში მისსირნერობის მავნებლობის შესახებ აბათილებენ და აქარწყლებენ რეალი ფაქტები. მაგრამ ვინაიდგან, აჭარაში მისსიონერის დანიშვნის ისტორია საზოგადო მნიშვნელობას არ არის მოკლებული, უადგილო არ იქნება ცოტა რამ ამ ისტორიიდან ემცნოს საზოგადოებას.

III.

თბილისის ეპარქიის ყოფილმა მისსიონერმა პლატონოვმა და ერთმა უფლება მოსილმა სასულიერო პირმა სწორი ალღო აუღეს დასავლეთ საქართველოში ქართველ მაჰმადიანთა შორის მოქმედ მისსიონერთა საქმეს. პლატონოვი და მისი მომხრე მიხვდნენ, რომ ქართველი მისსიონერები აჭარა-ქობულეთში ამზადებენ დიდი ღირებულობის საქმის ნიადაგს, საძირკველს უდგამენ ქართველ მაჰმადიანთა გონებრივად გამოღვიძებას და რადგანაც პლატონოვიცა და მისი სულის ჩამდგმელიც გაქლენთილები იყვნენ ქართველთადმი სიძულვილით, გადაწყვიტეს დასავლეთ საქართველოში მაჰმადიანთა შორის მისსიონერების ხსენების მოსპობა. წადილის განსახორციელებლად მათ აამოძრავეს, როგორც ქობულეთისა, ისე ხულოს მისსიონერის წინააღმდეგ, საზოგადოების ნაძირალები. უკანასკნელებმა გააცხადეს—ქობულეთის მოძღვარი, როგორც ქართველი, ბუნებიანი რუსის კილოთი და გამოთქმით ვერ გვისრულებს წირვა-ლოცვას, ჩვენი სული და გული ვერ შერიგებია ამ გარემოებას და ამიტომ ქობულეთში მცხოვრები რუსები მოვითხოვთ, რომ ქართველის ნაცვლად რუსი მოგვეცეს ღვდლადო. ხულოს მისსიონერს კიდევ ის ნაკლულოვანება შესწამეს, რომ ბერძნული არ იცის და ხულოში კი სულ ბერძნები ცხოვრობენო. თბილისიდან წინადადება მომცეს ორჯერ, ქობულეთის ღვდლისათვის მომეთხოვა თანაშემწე. ქობულეთის მრევლი შესდგება სულ ოცდა ათი კომლისაგან, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს მეორე ღვდლის დანიშვნას, ამიტომ თბილისიდან გამოგზავნილი ბძანება არ მოვიყვანე სისრულეში. ქართველი მისსიონერების მოძულეებმა ამის შემდეგ სულ ახალი გზა აირჩიეს თავიანთი საწადელის მისახწევად. რაღაცა მანქანებით ხულოს მრევლი სრულებით ჩამოაშორეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ტერიტორიას და მიაწერეს თფილისისას, რომ ეპარქიის უმფროსს შეძლება მისცემოდა ჩემდა დაუკითხავად ღვდლის გამწესება-დათხოვისა ხულოს მრევლში. მართლა-და გამოყვეს თუ არა ხსენებული მრევლი გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობიდან, მაშინვე გაგზავნეს იქ ისეთი ღვდელი, რომელმაც არც ენა იცის ხულოს მცხოვრებლებისა და არც მათი ზნე-ჩვეულებანი, არც განათლება შესწევს და არც გული შესტკივა აჭარლებზე. რასაკვირველია, ასეთი უსამართლო მოქმედება გავასაჩივრე სადაც ჯერ იყო და აი, ეხლა, საქმე რომ სასიკეთოდ უნდა გამობრუნდეს, ხელ-ახლა წამოყვეს ნაძირალებმა თავები და ლობეს უკან ამოფარებულები გველებივით სისინებენ. ხულოში ქართველი ღვდლის გამწესებას, რომ უცხოელები ებრძვიან და არა ქართველი მაჰმადიანები, მაშასადამე, მისსიონერის დანიშვნის საწინააღმდეგო ამხედრებით ქართული გაზეთები, რომ მხარს უჭერენ აჭარლების სისხლის მსმელ მტრებს, იმათ-რომლებიც დღეს მთავრობასთან ასმენენ აჭარლებს, რომლების ცილის წამებითაც არბევენ და ატყვევებენ უდანაშაულო აჭარლებს, ამას, თუ ცოტა მოთმენას ვიქონიებთ, სულ ახლო მომავალი დაგვანახვებს და თვითონ აჭარლები აგვიხელენ თვალებს.

მისსიონერზე კამათობის საბაბად გახდა ბათუმის კომენდანტის მოთხოვნილებისა და სინოდალური კანტორის დადგენილების შესასრულებლად ჩემ მიერ მამა ჩხიკვაძის დროებით გაგზავნა ამ ზაფხულს ხულოში. ჩემგნით იგი გაფთხილებული იყო, რომ არავითარი შუამდგომლობა არ აღეძრა ჩემთან ვისიმეს მონათვლის შესახებ. მას ევალებოდა ადგილობრივი ქრისტიანებისათვის მოძღვრული მოვალეობის შესრულება და ეკლესიის აშენების საქმეში მონაწილეობის მიღება. მეტი არავითარი დავალება მამა ჩხიკვაძეს არც ჩემგან და არც სინოდალური კანტორისაგან არა ჰქონია და, ვგონებ, არც მას გადაულახავს ესეთი დავალება.

თქვენ რაც გნებოთ, ის იფიქრეთ და მე კი სრული სიწრფელით მოგახსენებთ—აჭარაში რომ სრულებითაც არა ყოფილიყო მისსიონერის თანამდებობა, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა იქნებოდა მედგრად მოგვეთხოვნა ვისგანაც ჯერ არს ასეთი თანამდებობის დაუყონებლად

დაარსება. არა მარტო აჭარა-ქობულეთში, სანამ ყოველგან ჩვენს სამშობლოში სიმღერა მისსიონერები არ გვეყოლებიან, მანამდისინ სოფლის ხალხი ვერავითარი ღონისძიებით ვერ მოიშორებს თავიდან იმ უმეცრებისა და გონებრივი სიბნელის წყდეიადს, რომელიც სულს უხუთავს მას და მთლად უმწეო არსებად ჰქმნის. ძალიან ძნელია ამ დებულების უარის საყოფლად შესაწყნარებელი საბუთების წარმოდგენა. დღევანდელ პირობებში სულ მცირე განვითარების პატრონებიც აღარ დგებიან სოფელში; ვისაც განათლება მიუღია, ყველა ქალაქში გარბის და სოფელში უმწეოდ დარჩომილი ხალხის ბედ-იღბალზე მზრუნველობით თავს არავინ იწუხებს. თუ იტყვით ზაფხულობით კანტი-კუნტათ ინტელიგენტების სოფლად მოგზაურობას ლექციების საკითხად და წარმოდგენების დასადგმელად, ეს ხომ გართობაა და არა სერიოზული საქმიანობა. მაშ ვიღაა, რომ სოფლელებს გვერდში ამოუდგეს და მათი ჭირ-ვარამი გაიზიაროს? თავის მოტყუება იქნება ამგვარ პირებად სახალხო მასწავლებლების დასახვა სულ მცირედი გამონაკლისის გარდა ჩვენ არ მოგვეპოვებიან მშობლიურ ერის მეგობარი სახალხო მასწავლებლები. პირიქით, მასწავლებელთა დღევანდელი სა[illegible] [illegible]ოფითი და მავნე ხასიათისაა ჩვენი ერის კეთილ-დღეობისათვის. ეს ჩვენში დღეს დიდმაც იცის და პატარამაც. დარჩა მისსიონერი; მარტო იგია გულწრფელი და თავდადებული მოკეთე ყველასაგან მიტოვებული და ქვა ნატყორცნი სოფლელებისა. სოფლელების მოკეთე ინტელიგენტი სოფლელებშუა უნდა ტრიალობდეს და მათი ცხოვრების დუღილში უნდა იხარშებოდეს. ამას, სხვა ინტელიგენტებთან შედარებით, ყველაზე მეტად ახორციელებს მისსიონერი და ამიტომ ჩვენი მუდმივი სიმპატიაც, სხვებზე მეტად, მისსიონერისკენ უნდა იყოს მიმართული. მისსიონერი, მამაკაცი იგი თუ ქალი, უწარჩინებულესი შვილია თავისი ერისა. მისსიონერთა დევნა იგივეა, რაც უმწეო ბავშვებისათვის მზრუნველი მამის ხელიდგან გამოგლეჯა. საქართველოსთან ერთად მისსიონერებსა გვთხოვს აჭარა და თუ ნამდვილათ შეგვტკივა მაზე გული, ყური ვათხოვოთ ამ მუდარას.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

(შემდეგი იქნება.)

სამღვდელოების კრებების მოლოდინში.

მისმა მ. ყ. უსამღვდელოესობამ არქიეპისკოპოსმა პიტირიმმა, როგორც უკვე ვიცით, კრების წინასწარი კომისია შეადგინა, რომელსაც მიანდო კრებაზე გადასაწყვეტი საგნები და საკითხები წინდაწინვე შეემუშავებია და შედგენა ამ კითხვების სია მისი მეუფების წარსადგენად და დასამტკიცებლად.

როგორც ცნობილი შეგიქენით, წინასწარმა კომისიამ თავის საქმე შეასრულა და წარუდგინა მის მეუფებას იმ საკითხების სია, რომელზედაც მსჯელობა ექნება თბილისის ეპარქიის სამღვდლოებისგ დეპუტატთა მომავალ მორიგებას. რა კითხვები სცნო კომისიამ ღირსად სამღვდელოების ყურადღებისა, ჩვენ არ ვიცით, და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ვერც გავიგებთ, რადგან სამღვდელოებას ჩვეულებაა არ გვაქვს წინდაწინვე სინათლეზე გამოვიტანოთ ჩვენი ჭირვარამი და პრესის საშუალებით ფართო საზოგადოების ყურადღების ღირსი გავხადოთ, რომ სანამ კრება შესდგებოდეს, ყველა დაინტერესებულ პირს შეძლება მიეცეს თავისუფლად ასწონ-დასწონოს წამოყენებული საკითხების ავ-კარგი და პრესის საშუალებით თავის აზრი და შეხედულება გამოსთქვას მათ შესახებ. მხოლოდ ამნაირად დაყენებულ საკითხს ექნება შესაფერი ფასი საზოგადოების თვალში, მხოლოდ ასეთი ყოველმხრივ დაფასებული და აწონდაწონილი საკითხი გახდება მთელი ეკლესიის საყალდებულო და პასუხსაგებ კანონად. საჭიროა აგრეთვე საერო უწყებამაც თავის მხრით წამოიყენოს ესა თუ ის სასულიერო საკითხი, რომელიც მას აინტერესებს და სასურველად მიაჩნია მთელი ერისთვის და ეკლესიისათვის.

ამ მოსაზრებით ძალიან, კარგი იქნებოდა, რომ კრების წინასწარ კომისიას თავის ნამუშევარი

დავითს ვერ ვიშოვნით, რადგან არსად არის გასასყიდი. ამიტომ დაშლილი წიგნები, სანამ ფურცლა-ფურცლა დაიფანტებოდეს, უნდა შევაკერინოთ და ფრთხილად ვიხმაროთ. მე ვერ შევრიგებივარ წიგნების ისე მხეცურად მოპყრობას, როგორც მათ ეპყრობიან ზოგიერთი მედავითნეები. სადღაც ნესტიან ყურეში ან შკაფში აქვთ უთავბოლოდ მიყრილი. წიგნი, რომელიც მხოლოდ რამდენჯერმეა სახმარი წელიწადში, მუდამ საწიგნეზე უგდიათ და ხან იქით მიაგდებენ და ხან აქეთ, როგორც მოუხდებათ. ერთ ეკლესიაში ამასწინათ ნაგავში გადმოვქექე ხელნაწერი დაბადების ფურცლები და იქვე მღვდელს ჩავაბარე, რომ კარგათ შეენახა და თან მისი მნიშვნელობაც განუმარტე.

ასეთი სიბინძურეა არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის ეკლესიებშიაც, სადაც მე ჩემი თვალით ვნახე, ერთ-ერთ ეკლესიაში, წმ. ნინოს ხატი შკაფის თავზე შეგდებული და დამტვერილი, მიუხედავათ იმისა, რომ ხატი სრულიად ახალი იყო და ჩინებული ნამუშევარიც.

ჩვენ არ შეგვიძლია ყველაფერი ვსთქვათ, რაც გვინახავს და გაგვიგონია ჩვენი სადაო საგნის შესახებ. რაც ვსთქვით, ამაზედაც ბოდიში უნდა მოვითხოვოთ, რომ არავისთვის საწყენათ არ გვითქვამს, არამედ სამხელად, რომ ყველამ თავისი სამსახური და მოვალეობა დაიცვას, როგორც უმფროსმა, ისე უნცროსმაც.

ვინმე მღვდელი.

კვირიდამ-კვირამდე.

როგორც ტელეგრამებიდან სჩანს უწმ. სინოდ. ობერ-პროკურორი სამარინი სამსახურიდან გადამდგარა და მისი ადგილი დაუჭერია ვოლჟინს. ამბობენ ამ ამბავს ახლო დამოკიდებულება აქვს ტობოლის ეპისკოპოს ბარნაბას გასამართლებასთანო.

— იმავე ეპ. ბარნაბას გასამართლების ნიადაგზე მიტროპოლიტების რეზინდენციები ასე შეიცვლება: პეტროგრადის მიტროპოლიტი ვლადიმერი დაიჭერს კიევის მიტროპოლიტის ადგილს, კიევისა ფლაბიანე—მოსკოვისას, ხოლო მოსკოვის მაკარი—პეტროგრადისას. გაზეთები ამ შემთხვევაში მიზეზად რასპუტინის გავლენას ასახელებენ, რომელიც დღეს ეპ. ბარნაბას ეპარხიაში იმყოფება.

— ეპისკ. ბარნაბას გასამართლება, რომელიც უნდა მომხდარიყო უწ. სინოდში 23 ეკენისთვეს, არ შესდგა, რადგან ბრალდებული არ გამოცხადდა. იგი პეტროგრადიდან თავის ეპარხიაში დაბრუნებულა და სინოდისათვის ასეთი განცხადება დაუტოვია: „მე უკანვე ვბრუნდები ჩემს ეპარხიაში და პეტროგრადში დაბრუნებას არც კი ვფიქრობო“. სინოდს კი ეპ. ბარნაბას დათხოვნა ჰქონია გადაწყვეტილი, რადგან საეპარქიო საქმეები ფრიად აწეწილი ჰქონია, როგორც ეს გამოურკვევია სინოდის განსაკუთრებულ რევიზიას.

— სახალხო განათლების მინისტრის ცირკულარი. პეტროგრადი, 30 ეკენისთვე. სახალხო განათლების მინისტრი სამზრუნველო ოლქების მზრუნველთადმი ცნობებს იმაზე, რომ სკოლა-არა თუ მხოლოდ უნდა ასწავლიდეს, არამედ, უმთავრესად, უნდა ზრდიდეს (ზნეობრივად) ყმაწვილებს. უკანასკნელი (ზნეობრივი აღზრდა) უნდა გამოიხატებოდეს არა მხოლოდ გარეგნულ ზედამხედველობასა და დანაშაულობათათვის სასჯელში, არამედ ამ დანაშაულობათაგან ასარიდებელ და ზნეობრივ ზეგავლენის ზომებში, რომელი ზომების შემუშავებამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს პედაგოგიურ საბჭოების მსჯელობაში. ცოდნის მშრალმა კანტროლმა გაკვეთილის გამოკითხვის საშუალებით და ფორმალურმა ციფრულმა ნიშნებმა ადგილი უნდა დაუთმოს უფრო სამართლიან დაფასებას, რომელიც შედეგი უნდა იქნეს მთელი იმ შთაბეჭდილებათა ჯამისა, რომელიც შედეგად მოჰყვება თითოეულ მოწაფის ინდივიდუალობის ყურადღებით შესწავლას. მინისტრი წინადადებას აძლევს პედაგოგიურ საბჭოებს მსჯელობა იქონიონ ცოდნის ციფრულ ნიშნებით დაფასების მიზან-შეწყობილობაზე და სადაც ეს წესი მიზან შეწყობილად ცნობილი არ იქნება, კონტროლის სხვა ზომები შეიმუშაონ იმ განძრახვით, რომ სკოლის მოწოდება

არის—გამოუშვას შეგირდი არა ამა თუ იმ ნიშნების რიცხვით ატესტატში, არამედ უსაჭიროეს სასარგებლო ცოდნათა და ჩვეულებათა საგძლით, რომლებიც გამოსადეგნი არიან ცხოვრებაში. პროგრამის მრავალსაგნიანობა და ზედმეტი ტვირთმძიმობა ცუდათ მოქმედობს სკოლის დანიშნულებაზე, ამიტომ სამინისტრო წინადადებას აძლევს საბჭოებს არ უყურონ სწავლა-აღზრდის საქმის მთლად გადაკეთების მოსალოდნელ განხორციელებას და ეხლავე მიაქციონ ყურადღება კურსის გავლის შემსუბუქებას არსებულ პროგრამების ფარგალში, რომელთაგან უნდა გამოკრებილ იქმნეს რაც რამ არსებითად უსაჭიროესია და პატივსადები.

პარტიზანები.

„სამხედრო მაუწყებელი“ გადმოგვცემს, რომ ქალაქ პინსკის ჭაობებში ჩარჩა შესამჩნევი ნაწილი ავსტრია გერმანიის არმიისა. წყალდიდობა, წვიმები, ჭაობები და გაფუებული ტორფის მოძრავი ტინტყლები ასობით იწირავენ ჩვენი მტრების სიცოცხლეს. ჭაობებში ეფლობა ურმები, იარაღი, ავტომობილი. გასვლა-ვადმოსვლა ძნელია და საშიში. არსად იმდენი დეზერტირი არ ყოფილა მტრის არმიაში, როგორც ყბად-აღებულ პინსკის ჭაობებში. თავიანთ ნაწილებიდან გამოქცეული, ჩამორჩომილი და განძრახ დარჩენილი ჯარისკაცები თავს იყრიან ერთად და მაროდიორობას (ცარცვა-გლეჯას) ეწევინ.

მათ სიმხეცესა და გაუმაძღრობაზე საშინელი ხმები დადის. გერმანელი მაროდიორები ჰკლავენ, სტანჯავენ და აწამებენ მცხოვრებლებს, ხრწნიან ქალებს, ქირდაობენ ბავშვებზე, ბილწავენ ტაძრებს, სწვავენ სოფლებს და სასახლეებს.

ასეთმა სიმხეცემ გამოიწვია ერთი პინსკელი მემამულე და რამოდენიმე სტრაჟნიკი პარტიზანულ რაზმების შესადგენად, რომლებსაც მიზნათ აქვსთ მარადიორების გაჟლეტა.

პარტიზანები შეიარაღებული არიან კავალერიის ფორმაზე, ყავთ ცხენები და უზრუნველყოფილი არიან სამხედრო იარაღით. იგინი ძლიერ ღრმათ შედიან ჭაობებში, რადგან მათ წინამძღვრობენ ტყის მცველები და მონადირეები, რომლებმაც კარგათ იციან აქაური ალგილ-მდებარეობა. პარტიზანების შეტევა თავის მოულოდნელი თავდასხმით და გასაოცარი სისწრაფით, დიდ ზარალს აყენებს მტერს და ამიტომ მათ მდევრებიც გაუჩინეს. ამ მიზნით პარტიზანთა წინაალმდეგ გაგზავნეს ვენგრიელ გუსარების ესკადრონი და განნოვერელი გუსარების ესკადრონი. შემდეგ ძრიელი სროლისა, პარტიზანები მიიმალნენ მინსკის გუბერნიის ჭაობებიან ნაწილში და სანამ მტერი უკუ არ იქცა, თავს ესხმოდენ და დიდ ზარალს აყენებდენ მას. პარტიზანებმა მიაღწიეს თითქმის ბრესტ-ლიტოვსკამდი, სადაც ღამით თავს დაესხნენ რომელიღაც ავსტრიის შტაბს მამულ შაბუნცეში და დიდი არეულობა მოახდინეს მტრის ჯარში. ბორისოგლების მაზრაში პარტიზანებმა იუკშტის ახლოს მაროდიორები კასტიოლში (კათოლიკეთა ეკლესიაში) მიიმწყვდიეს. გერმანელებს აქ ქეიფობა გაემართათ, მოეყვანათ რა, ახლო სოფლიდან ქალიშვილები და დამკვრელებ-მომღერლები. გერმანელები სრულიად მთვრალები იყვნენ, მაგრამ მაინც დარაჯები დაეყენებიათ გარეთ. პარტიზანებმა მოხსნეს დარაჯები და შეიჭრნენ ეკლესიაში, საიდგანაც ქალებისა და მომღერლების დახმარებით გამოათრიეს მკრეხელები და გამხსრწნელები, შეჰკრეს იგინი და გაგზავნეს რუსის ჯარში, ხოლო თვით განაგრძეს მოგზაურობა.

გერმანელები საბუნევიჩის რაზმს „ჭაობის მგლის ბრბოს“ უწოდებენ და ფრიად მონდომილნი არიან მათზე სანადიროთ, მაგრამ მხედრები უვნებელი რჩებიან, რადგან კარგათ იცნობენ თავის ჭაობებს. ამ რაზმებში, გარდა რუსებისა და პოლონელებისა, მონაწილეობენ კავკასიელი ინგუშები, ადგილობრივ მემამულეთა სასახლეებიდან. (К. С.).

რედაქტორი მღვდ. ხ. მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

Разрѣшено. Воен. Цензоръ.

Типографія ,,Братство'', Кутаисъ.